ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7537957

ნომერი: AR11097105

თარიღი : 25.06.2025

გაცემის თარიღი : 03.07.2025

გაცნობის თარიღი : 03.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხა ხელაშვილის ქუჩა, N 13ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ გოგინაშვილი პ/ნ 59001012048
- ჩირგაძის 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 22 აპრილის №7454652 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 25 ივნისს №AR11097105 განცხადებით მომართა თენგიზ გოგინაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის

22 აპრილის №7454652 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 17 მარტის №7413682 ბრძანებით, №01.72.14.014.338 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2025 წლის 22 აპრილის №7454652 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 22 აპრილიდან 2026 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 22 აპრილის №7454652 ბრძანებაში და ამავე ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის განხორციელების მე-4 ეტაპში მითითებული ნიშნულები არ შეესაბამება საპროექტო ობიექტის ნიშნულებს. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი შეადარა სამსახურის 2025 წლის 17 მარტის №7413682 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას (მათ შორის, გეგმებს, ჭრილებს) და დაადგინა რომ მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში, ისევე როგორც სამსახურის 2025 წლის 22 აპრილის №7454652 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა ნიშნულები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 22 აპრილის №7454652 ბრძანებაში და:
1.1 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„IV. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან:
0.00 დან----6.30 მ-მდე;
6.30 დან----12.90 მ-მდე;
12.90 დან----19.50 მ-მდე;
19.50 დან----26.10 მ-მდე;
26.10 დან----32.70 მ-მდე;
32.70 დან----35.60 მ-მდე“.
1.2 აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 22 აპრილის №7454652 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 22 აპრილის №7454652 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.